შემოსავლების სამსახური

თბილისი 0114, გულუას ქ. 4
ტელ: +995 (32) 226 17 58, +995 (32) 226 26 81
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
აუდიტის დეპარტამენტი

5358-21-14-2-201501231949

N 21-14/5358

23/01/2015

საგადასახადო შეტყობინება

გადამხდელის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი
შპს "ფლაი ჯორჯია"	**404400046**

იურიდიული მისამართი: **ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი / გრ. ხანძთელის ქ., №4**

წინამდებარე საგადასახადო შეტყობინება გაცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის **264-ე** მუხლის შესაბამისად.

შემოსავლების სამსახური გეგმავს **შპს "ფლაი ჯორჯიას" (ს/ნ 404400046)** საქმიანობის გასვლით საგადასახადო შემოწმებას. შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს გადასახადის გადამხდელის შეუმოწმებელ პერიოდს (ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით ბოლო შემოწმების პერიოდიდან).

ზემოხსენებული მუხლის თანახმად, შემოწმება დაიწყება მინიმუმ ათ სამუშაო დღეში და ამ წერილის გაცემიდან არაუგვიანეს 30 დღეში. თქვენი საქმე გადაეცა აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს **გასვლითი საგადასახადო შემოწმების მე-3 სამმართველოს უფროს აუდიტორებს ზურაბ ბიწაძეს, ლევან ქარქუზაშვილს, აუდიტორებს გიორგი ტაბატაძეს, ნოდარ გაჩეჩილაძეს, ასისტენტებს გიორგი ჩალაძეს და გიორგი ხუხუტაშვილს,** რომლებიც დაგეკონტაქტებიან, რათა დაინიშნოს პირველი შეხვედრისათვის მოსახერხებელი დრო.

ავღნიშნავთ, რომ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტური თანამშრომლობა გადამხდელებთან, რათა აუდიტი მიზანმიმართულად წარიმართოს და ფუჭად არ დაიხარჯოს თქვენი და აუდიტორის დრო არაპროდუქტიულ ძიებაზე. ამ თვალსაზრისით, ძალიან დაგვეხმარებით თუ ელექტრონული დანართის შესაბამისად წარმოგვიდგენთ ინფორმაციას (ელექტრონული სახით) და ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების შემთხვევაში, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ პროგრამის ასლი (ელექტრონული სახით).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ **10 კალენდარული** დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ ზემოხსენებული ინფორმაციები. თუ ამ დროში არგუმენტირებული მიზეზებით ვერ ხერხდება

ელექტრონული ინფორმაციების მოწოდება, დაუკავშირდით **აუდიტორებს** და შეათანხმეთ ინფორმაციის მოწოდების უფრო ხელსაყრელი დრო. მათი საკონტაქტო დეტალებია:

ზურაბ ბიწაძე 577053990
ლევან ქარქუზაშვილი 555388525

საფუძველი: სსკ-ის 264-ე მუხლი. შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 15 იანვრის №600 ბრძანება 2015 წლის პირველი კვარტლის საგადასახადო შემოწმების გეგმის დამტკიცების შესახებ, ადმინისტრირების დეპარტამენტის 2015 წლის 21 იანვრის №5880-21 წერილი.
ბაქარი დევდარიანი

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი